ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№4-1/01468'-26
"09" 09 2026 წ.

დადგენილება №006764
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

09.09.2026წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა გოგი ჩიქოვანმა, განვიხილე 2026 წლის 19 ივნისის №006764 მითითება და 2026 წლის 09 ივლისის №006764 შემოწმების აქტი შედგენილი, სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს (ს/ნ №202161098; მის.: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №74ბ) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 131-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული სამშენებლო დარღვევისათვის და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, გამზირი ქ. ჭამებული, №71-ის მოპირდაპირედ, №01.17.12.001.048 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, სახელმწიფოს ტერიტორიაზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს მიერ, მოწყობილია ფასმაჩვენებლის კონსტრუქცია.

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2026 წლის 19 ივნისს შედგენილ იქნა №006764 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადა განხორციელებული სამუშაოების კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენად ან უსაფრთხოების წესების დაცვით დემონტაჟის განსახორციელებლად.

2026 წლის 09 ივლისს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, შედგა №006271 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2026 წლის 14 აგვისტოს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა ზეპირი განხილვის სხდომა. საქმის განხილვის თარიღის და დროის შესახებ მხარეს ეცნობა კანონის შესაბამისად. სხდომაზე გამოცხადდა კომპანიის წარმომადგენელი მოქ. ვახტანგ ედილაშვილი, რომელმაც დადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. მხარემ განაცხადა, რომ

სამშენებლო სამუშაოები განხორციელებულია კომპანიის მიერ და დემონტაჟი განხორციელებულია.

საქმეშია 2026 წლის 07 სექტემბრის სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათი, რომლითაც დგინდება, რომ სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს მიერ შესრულებულია ზემოაღნიშნული მითითებით გათვალისწინებული პირობები კერძოდ, დემონტირებულ იქნა, ქ. თბილისში, გამზირი ქ. ჭამებული, №71-ის მოპირდაპირედ, №01.17.12.001.048 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, სახელმწიფოს ტერიტორიაზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, მოწყობილი ფასმაჩვენებლის კონსტრუქცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8 მუხლით; საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 125-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით და,

დავადგინე:

1. შეწყდეს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება **სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს** მიმართ;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსი

გოგი ჩიქოვანი